პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 აპრილი, სამშაბათი, 1988 წ.
№ 81 (9748) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

### I ლიგა

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების V ტურის შეხვედრები. საქართველოს ორივე გუნდი შინ გამოდიოდა.

ლანჩხუთის „გურია“ შეხვდა სიმფეროპოლის „ტავრიას“.

თამაში დამთავრდა ლანჩხუთელ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და იაროსლავლის „შინიკი“. აქაც იმარჯვეს მასპინძლებმა. მათ დიდი ანგარიშით დაამარცხეს მეტოქე — 3:0.



ქუთაისი. 23 აპრილი. სსრკ — ესპანეთის ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი

იხ. მე-3 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონობაც, რეკორდიც...!

### ოთარ მჭედლიშვილის ახალი წარმატება

ომნიუმი ველოსიპედისტთა თავისებური მრავალჭიდია, რომელიც ოთხ დამოუკიდებელ სახეობას მოიცავს: ერთ წრეზე რბოლას, გიტს 200, 500 და 1000 მეტრზე სვლით. გამარჯვებული ამ ოთხ სახეობაში საუკეთესო შედეგების შეჯამებით ვლინდება.

კვირას ლენინაბადში (ტაჯიკეთი) უძლიერესმა ველოსიპედისტებმა საკავშირო ჩემპიონატის მედლები გაითამაშეს ომნიუმში. ბრწყინვალედ გამოვიდა ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო სპრინტერი თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი. მან ოთხი სახეობიდან სამში პირველი ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო.

ოთარ მჭედლიშვილმა ერთ წრეზე რბოლაში (სვლით) 23, 258 წამი აჩვენა (I ადგილი), 200 მეტრზე გიტში (სვლით) — 10,753 (I ადგილი), 500 მეტრზე გიტში (სვლით) — 28,285 (I ადგილი) და 1000 მეტრზე გიტში (სვლით) — 1.02,198 (VI ადგილი). აი, ამ შედეგების შეჯამების შემდეგ ოთარ მჭედლიშვილს 1988 წლის სსრ კავშირის ჩემპიონის სახელი მიეკუთვნა ომნი-



უმში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მისი დრო 500 მეტრიან დისტანციაზე ახალი საკავშირო რეკორდია.

ვერცხლის მედალი წილად ხვდა მოსკოველ კონსტანტინე ხრაბცოვს. მან 1 კილომეტრზე რბოლაში პირველი ადგილი დაიკავა და საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა — 1.01,110.

ბრინჯაოს ჯილდო ტულელ მიხეილ სვიატცევს ხვდა.

აღნიშნულ შეჯიბრებაზე ერთი მსოფლიო რეკორდიც დამყარდა. ამ რეკორდის ავტორია ტალინელი მსოფლიო ჩემპიონი ერიკა სალუმაიე, რომელმაც ქალთა 500 მეტრიან გიტში (სვლით) 30,496 აჩვენა. ძველი რეკორდი, რომელიც ფრანგ იზაბელ გოტერონს ეკუთვნოდა დამყარებული იყო ორი წლის წინ კოლუმბიაში (30,591).

## სხვებზე მეტი შანსი აქვთ

**ეს განუყრელი წყვილი კვლავ ხელდამშვენებული გვეწვია რედაქციაში. საბაიდარო ნიჩბოსნობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრმა კახა ლომიშვილმა და მისმა მწვრთნელმა, საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა ნოდარ ცხოვრებოვმა ამჯერად საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში გამარჯვება გვახარეს. ეს შეჯიბრება 18-23 აპრილს ჩატარდა გალის წყალსაცავზე, საკავშირო ნაკრების სასწავლო-საწვრთნელო ცენტრის ბაზაზე.**

● **აქამდე საკავშირო თასის გათამაშება სამ დღეს გრძელდებოდა. რა იყო შეჯიბრების გახანგრძლივების მიზეზი? — ვკითხეთ კახას.**

— ნაკრების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს მოესინჯათ ოლიმპიური შეჯიბრების სისტემა. სეულში მობაიდარეებმა სწორედ ექვს დღეს უნდა იასპარეზონ.

● **რახან ასეა, თასის გათამაშების მონაწილენი, ალბათ, მხოლოდ ოლიმპიურ დისტანციებზე გამოდიოდნენ.**

— არა, მწვრთნელებმა, ისე, როგორც ზამთრის ჩემპიონატებში, შეჯიბრების პროგრამაში კვლავ შეიტანეს შესამოწმებელი, საკონტროლო რბოლები ერთადგილიანი ნავებით არაოლიმპიურ დისტანციებზე — 250 და 2000 მეტრზე.

● **შემოწმება შემოწმებად, მაგრამ ნაკრების მწვრთნელებმა და მოასპარეზეებმა ყურადღება, რა თქმა უნდა, ოლიმპიურ დისტანციებზე — 500 და 1000 მეტრზე გაამახვილეს.**

— ცხადია, სწორედ ამ დისტანციებზე გამარჯვებაა პრესტიჟული და ყველას აქ სურდა თავის გამოჩენა. მე და ჩემი ახალი მეწყვილე, ბელორუსიელი ალექსანდრე მიზგინი 1000 მეტრიან დისტანციაზე გამარჯვებას ვუმიზნებდით და შევძელით კიდეც ჩანაფიქრის განხორციელება — ძნელ ბრძოლაში დავამარცხეთ ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონი ნაგაევ-გალკოვის წყვილი და თასი მოვიპოვეთ. სტარტზე მათ გვაჯობეს, საშუალედო, 500 მეტრიან ზღვართანაც პირველნი იყვნენ, მაგრამ ჩვენ ამას ველოდით, მაქსიმალური ტემპით რბოლას დისტანციის მეორე ნახევარზე ვაპირებდით და ამ ტაქტიკურმა გეგმამ გაგვიმართლა — ფინიშთან პირველები ჩვენ მივცურდით. ამ რბოლაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ფოთელი ნიჩბოსანი ედუარდ ქაშაკაშვილი. მან და ვორონეჟელმა ვლადიმერ ბობრიშევმა საპატიო VI ადგილი დაიკავეს.

● **შარშან მთელი წლის განმავლობაში თქვენი მეწყვილე ანდრეი ზუევი იყო...**



ნოდარ ცხოვრებოვი (მარცხნივ) და კახა ლომიშვილი.

— ეკიპაჟის შეცვლა ნაკრების მწვრთნელებმა გადაწყვიტეს. მათი აზრით, 1000 მეტრზე მე და მიზგინი უფრო უკეთ გამოვიდოდით. როგორც ხედავთ, ექსპერიმენტმა გაამართლა—შარშანდელ ჩემპიონატში მე და ზუევს სწორედ ნაგაევმა და გალკოვმა გვაჯობეს. ამ გამარჯვებამ ჩვენს ეკიპაჟს საკუთარი ძალების რწმენა შემატა, ორივენი დავრწმუნდით, რომ წარმატებით შეგვიძლია ოლიმპიური საგზურისთვის ბრძოლა.

● **ნაგაევი და გალკოვი უკვე ორი წელია ერთად გამოდიან, კახა და ალექსანდრე მიზგინი კი სულ ახლახან „დაწყვილდნენ“. თქვენი აზრით, როგორია ამ ახალი წყვილის ოლიმპიური პერსპექტივა? — ვკითხეთ ნოდარ ცხოვრებოვს.**

— სავსებით საიმედო. 1000 მეტრიან დისტანციაზე ამ წყვილს ოლიმპიური საგზურის მოპოვების სხვებზე მეტი შანსი აქვს, გაცილებით მეტი, ვიდრე მათ უშუალო კონკურენტებს.

პერსპექტივა ამ წყვილს მართლაც საიმედო აქვს, მაგრამ ოლიმპიური საგზურის „ხელში ჩასაგდებად“ ლომიშვილს და მიზგინს კიდევ ბევრი ოფლის ღვრა მოუწევთ. მალე მათ მოსკოვის თასის ღია გათამაშებაში, შემდეგ იულია რიაბჩინსკაიას მემორიალსა და სეგედის თასზე უნდა იასპარეზონ. აგვისტოში კი გაიმართება საკავშირო ჩემპიონატი და, ალბათ, მაშინ გადაწყდება ოლიმპიური საგზურის ბედი.

**თ. შენგელია.**

## პირველად რესპუბლიკაში

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ტურნირი „სწრაფ ჭადრაკში“ (30-30 წუთიანი შეხვედრები) ჭადრაკის სასახლის პრიზზე.**

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ჩატარდა, მონაწილეობდა 80-მდე მოჭადრაკე, მათ შორის ნახევარზე მეტი ოსტატობის კანდიდატი იყო.

ტურნირი ჩვენს რესპუბლიკაში პირველად ტარდებოდა. მოჭადრაკეებს მიზნად ჰქონდათ დასახული 9 უძლიერესთა შორის მოხვედრა. ეს მათ „სწრაფ ჭადრაკში“ პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატის საგზურებს მოუტანდა. შეჯიბრების ლიდერობა თავდაპირველად ხელთ იგდო ოსტატობის კანდიდატმა დავით პაქსაშვილმა, რომელსაც 6 შესაძლებლიდან 6 ქულა ჰქონდა, მაგრამ შემდეგ დარჩენილ სამ პარტიაში ორი ქულა დაკარგა, იმ დროს, როცა ოსტატობის კანდიდატი არტურ თეიმურაზიანი პარტიას პარტიაზე იგებდა და საბოლოოდ 7,5 ქულით I ადგილიც დაიკავა. 7-7 ქულით II-V ადგილები გაიყვეს ოსტატობის კანდიდატებმა დავით პაქსაშვილმა, გია გრძელიშვილმა, არჩილ წერეთელმა და რევაზ სიგუამ, ხოლო VI-VIII — ვასილი სკაჩკოვმა, იური ნეჩაევმა და ირაკლი ლვამიჩავამ (6,5-6,5). 6-6 ქულით IX ადგილი რამდენიმე მოჭადრაკემ გაიყო, მაგრამ უკეთესი კოეფიციენტის წყალობით საგზური ნოდარ გოგაძეს ხვდა.

მათ გარდა ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიიღეს, აგრეთვე, ოსტატობის კანდიდატებმა კახა შალამბერიძემ და ვასილ გიორგაძემ. საქმე ისაა, რომ მათ გაიმარჯვეს მათთვის ცალკე მოწყობილ შეჯიბრებაში. რადგანაც ისინი ქუთაისს მიემგზავრებოდნენ საჭადრაკო ტურნირში „უნივერსიადა — 88“ მონაწილეობის მისაღებად.

**მინიფეხბურთელთა ასპარეზობით დამთავრდა „გიგანტური თამაშების“ პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდებს შორის. ბოლო — მეოთხე სახეობაშიც გამარჯვება მომავალ ინჟინრებს დარჩათ (231:129).**

**ასპარეზობაში ორივე კოლექტივის 60-60 გუნდი ასპარეზობდა. სპი-ს გუნდმა 37 შეხვედრა მოიგო, 6 მატჩი ფრედ დაამთავრა, 17 კი უნივერსიტეტელთა გამარჯვებით დასრულდა.**

**ანალოგიური შეჯიბრების ჩატარებას წელს ოქტომბერშიც ვარაუდობენ. სარბიელზე გამოვლენ ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების გუნდები.**



**სინგაპური.** ამ ქალაქის ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდა ორი საბჭოთა ჩოგბურთელი — თბილისელი ლეილა მესხი და მოსკოველი ნატალია ბიკოვა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება ხვდა მესხს — 4:6, 6:4, 6:3.

მეორე ნახევარფინალში ინგლისელმა მონიკა იავიერმა ავსტრალიელი დიანა ბალესტრატი დაამარცხა — 6:0, 6:1.

ფინალურ შეხვედრაში უპირატესობას ინგლისელმა ჩოგბურთელმა მიაღწია — 7:6, 6:3. მესხი მეორე ადგილზე დარჩა.

ლეილა მესხმა და სვეტლანა პარხომენკომ წყვილთა ფინალშიც დამარცხება განიცადეს. მათ მოუგო ნატალია ბიკოვასა და ნატალია მედვედიევას დუეტმა — 7:6, 6:3.

**მონტე-კარლო.** ორთვიანი შესვენების შემდეგ კორტს დაუბრუნდა



ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი და პირველსავე შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვა. „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებულ საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა — ფინალში არგენტინელი მარტინ ჰაიტი დაამარცხა — 5:7, 6:4, 7:5, 6:3.

ყოველ სამშაბათს...

# რამ გაგახარათ, რამ დაგწყვიტათ გული?

17-24 აპრილი

გასული კვირის მანძილზე ჩვენი სპორტსმენების მიღწევებიდან სპორტის გულშემატკივრები განსაკუთრებით გაახარა ჩვენი მოჭადრაკე გოგონების ქეთევან კახიანის, ქეთევან არახამიას და სოფიკო ტერელაძის, მოკრივე ალბერტ კაზანჯიანის, მოჭიდავე ლერი ხაბელოვის წარმატებებმა. ამ სპორტსმენების სახელზე რედაქციაში მოვიდა მისალოცი ბარათები, რომლებიც ადრესატებს გადაეცემათ. განსაკუთრებით თბილი, ვრცელი წერილები გამოგზავნეს შრომისა და კომკავშირის ვეტერანმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა წყალტუბოელმა პ. თენეიშვილმა და გალელმა დიასახლისმა ფ. გურჩიანმა, რომლებიც იწონებენ „ლელოს“ ახალ რუბრიკას.

„კარგია, რომ „ლელომ“ ბოლომდე გაარკვია, ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ „დინამოს“ სტადიონზე გულშემატკივრები კვლავ და კვლავ ისვრებიან სალებავით. 17 აპრილს გამოქვეყნებული თქვენი პუბლიკაცია „ქიმწმენდის პუნქტი სტადიონზე“ მაინც დაუკმაყოფილებლობის გრძნობას გვიტოვებს. ნუთუ მკაცრად არ უნდა მოეკითხოთ დამნაშავეებს?“ — გვეკითხება თბილისელი პენსიონერი გ. მელაძე. ახმეტის რაიონიდან ბ. ბუჩუკური გვწერს, რომ გლდანის სპორტულ სკოლა-ინტერნატში უფრო საგანგაშო მდგომარეობაა, ვიდრე „ლელოს“ 19 აპრილის ნომერშია აღწერილი. თბილისელი მ. გვარამია იწონებს საქართველოს სსრ მმაჩის რესპუბლიკური არქივის გამგის ციალა ხომერიკის პუბლიკაციას „დედანთან სწორი არ არის“. ავტორი მოითხოვს მკაცრად შეფასდეს ასაკის გადაკეთების ყველა ფაქტი, რათა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო სიყალბეს. ამასთან იგი მიგვანიშნებს მოცურავეთა შორის ასაკის გადაკეთების ზოგიერთ ახალ ფაქტზე და გვთხოვს შევამოწმოთ ისინი.

გასული კვირის სპორტული მოვლენებიდან საერთო ყურადღების ცენტრში მაინც ქვეყნის ჩემპიონატში თბილისის დინამოელთა მიერ ჩატარებული ორი მატჩი იყო. ორივე შეხვედრა — ერთი შინ, ერევნის „არარატთან“, მეორე კი ბაქოში, „ნეფთჩისთან“ — ჩვენმა გუნდმა წააგო. „საგანგაშო ის კი არ არის, რომ „დინამო“ დამარცხდა, გულს გვტკენს თითოეული ფეხბურთელისა და მთლიანად გუნდის უსუსური თამაში. რატომ, რა ხდება?“ — კითხულობს ბორჯომელი მ. გელაშვილი „არარატთან“ წაგებული მატჩის შემდეგ.

„1947 წლიდან ჩვენი „დინამოს“ გულშემატკივარი ვარ, ჩემთვის ფეხბურთი ყველაფერია. მოვლენების ალოგიკურობა ვერაფრით ამიხსნია — გამოიკვეთება რაღაც იმედი და... სიხარულს უმალვე სინანული მოსდევს. გუნდს მეტი შეუძლია და უნდა გააკეთოს კიდეც. ამ წერილის გამოქვეყნებას არ გთხოვთ, მეტს აღარც მოგწერთ, ისე მაქვს გული გატეხილი“ (გ. ბადრიძე, თბილისი).

„არ მინდა ამ წერილით ვინმე გავანაწყენო, მაგრამ მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, ოთხი შვილის მამა ვარ და არ მინდა ფეხბურთზე დარდს გადავყვე. იციან თუ არა ბიჭებმა როგორ გვტკენს გულს მათი ყოველი წაგება?“ (ეს წერილი ათ გვერდს მოიცავს და ავტორი ვინაობას არ გვიმხელს. არ გვიმხელს იმიტომ, რომ აღელვებულ გულზე უდიერად იხსენიებს დინამოელთა თამაშს და ფეხბურთელებს). „მე მინახავს დამარცხებული „დინამო“, მაგრამ მოედნიდან ტაშით გაგვიცილებია, ეუგის სათქმელად ენა არ მოგვიბრუნდებოდა, რადგან მატჩი ვაჟკაცურ ბრძოლაში იყო წაგებული. ვერავიან დამარწმუნებს, რომ დღევანდელ „დინამოს“ არ შეუძლია ვაჟკაცური ბრძოლა, მაშ, ნუ გაგვიცრუებთ იმედს, ბიჭებო!“ (ო. ლეკვეიშვილი, თბილისი). ასეთი ბარათი ბევრია, გვწერენ იმასაც, რომ „ლელო“ ზოგჯერ ზედმეტ ლმობიერებას იჩენს დინამოელი ფეხბურთელებისადმი, „გუნდს ნუ ეფერებით“, „ყველაფერი გვითხარით“, „ჭორები მაშინ ვრცელდება, როცა პრესა დუმს...“ ასეთია ზოგიერთი წერილის ავტორის პოზიცია.

რამდენიმე თბილისელმა გულშემატკივარმა გუშინ ტელეფონით გაგვიზიარა თავისი აზრი. ბაქოში დინამოელთა მარცხის შემდეგ ქეშმარიტი გულშემატკივარი მაინც არ კარგავს იმედს. მათი აზრით, სიდინჯე და გონიერებაა საჭირო, ემოციების ფოლა მხოლოდ საქმეს წაახდენს. კატეგორიულად მოითხოვენ, გუნდის უფროსი მწვრთნელის გ. ზონინის მუშაობის პრინციპებსა და მოთხოვნებს შეგნებით მიუდგნენ თვით ფეხბურთელები. აქ უფროს მწვრთნელს განსაკუთრებით უნდა დაეხმარონ მეორე მწვრთნელი, მწვრთნელი და, რაღა თქმა უნდა, გუნდის უფროსი.

ფეხბურთზე საუბარი გვინდა დავასრულოთ გულშემატკივართა ერთი ჯგუფის წერილში გამოთქმული ოპტიმიზმით: „გვჯერა, რომ სულ მალე ისევ გაივსება ჩვენი საყვარელი სტადიონი და ისევ შევძახებთ „დი-ნა-მო“, „დი-ნა-მო“, „დი-ნა-მო!“ ჩვენ გვჯერა ჩვენი გუნდის!“ (ეს წერილი გუშინ საღამოს მივიღეთ რედაქციაში. ხელს აწერენ თბილისელები მიშელაშვილი, რაზმაძე, მიქაძე, თოთიბაძე, ფარსემაშვილი, ლაბაძე და სხვები).

„ლელოს“ წერილების განყოფილება.

სპორტი ყველასთვის

# ლექტორებიც აბარებენ გამოცდებს

არა, საგაზაფხულო სესიებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, ლექტორმასწავლებლებისა და მათი აღსაზრდელების საგამოცდო „დუელი“ ჯერ არ დაწყებულა, მათ ახლა ზავი აქვთ ჩამოგდებული. ის კი არა, ამ დღეებში სტუდენტები თავგამოდებით ქომაგობდნენ თავიანთ პედაგოგებს, რომლებიც მეტად სერიოზულ გამოცდებს აბარებდნენ საერთო ფიზიკურ მომზადებასა და სპორტულ ოსტატობაში. აქაც ბლომად „დაიწერა“ ხუთიანები და ორიანები, ზოგიერთ აღმზრდელს საშემოდგომო გამოცდების ჩასაბარებლად და საჭირო სპორტული ფორმის მისაღწევად ზაფხულის ცხელ დღეებში ბევრი ოფლის ღვრა მოუწევს. რას იზამ, აქ პროტექცია და საქმის „ჩაწყობა“ შეუძლებელია, არც „გაჭირვებული“ სამიანის მიღებაა ადვილი, რადგან გამოცდას ფართო აუდიტორია და კომპეტენტური ჟიური იბარებს.

ეს სერიოზული გამოცდა ქუთაისელ პედაგოგებს პროფკავშირების სპორტსაზოგადოების საქალაქო საბჭომ ჩაუტარა და ამით კიდევ ერთ საინტერესო ღონისძიებას ჩაუყარა საფუძველი. ქალაქის სპორტულ ბაზებზე გაიმართა უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სასწავლებლების ლექტორ-მასწავლებელთა პირველი საქალაქო სპარტაკიადა, რომლის მონაწილენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მინიფეხბურთში, ჭადრაკში.

მომავალი ინჟინრების აღმზრდელებმა, ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის (რექტორი ნ. ვალიშვილი) ლექტორმასწავლებლებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ ნიჭიერ სპეციალისტებსაც უზრდიან ქვეყანას და სპორტულ სარბიელზეც მაგალითის მიმცემნი არიან. მათ ექვს სახეობაში ჩატარებული შეჯიბრებიდან ხუთში გაიმარჯვეს, საერთო გუნდურ ჩათვლაში დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი და მეტოქეებს აგრძნობინეს, რომ გარდამავალ თასს იოლად არავის დაუთმობენ.

ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის (რექტორი ნ. კაკაურიძე) წარმომადგენლებმა ცალკეულ სახეობებში უმეტესად მეორე ადგილები დაიკავეს და გუნდურ ჩათვლაშიც მეორე შედეგი აჩვენეს.

მესამე საპრიზო ადგილი ავტომექანიკური ტექნიკუმის (დირექტორი თ. ებანოიძე) პედაგოგებმა დაიკავეს. მომდევნო ადგილები გაინაწილეს კოოპერაციული, სამთო-სამშენებლო და პოლიტექნიკური ტექნიკუმების პედკოლექტივების წარმომადგენლებმა.

კოოპერაციული და ავტომექანიკური ტექნიკუმების დირექტორები ლ. ჯახუა და თ. ებანოიძე, პედინსტიტუტისა და სამთო-სამშენებლო ტექნიკუმის პარტბიუროს მდივნები რ. გოლეთიანი და რ. ჩიკვაშვილი. პოლიტექნიკური და პედაგოგიური ინსტიტუტების, აგრეთვე პოლიტექნიკური ტექნიკუმის პროფკავშირული კომიტეტების თავმჯდომარეები დ. გიორხელიძე, რ. ღავთაძე, თ. ყიფიანი და სხვები სამაგალითონი იყვნენ სპორტულ სარბიელზე და აკი დაიმსახურეს კიდეც პირველ საქალაქო „გამოცდაში“ მაღალი ნიშნები.

თუმცა ორიანებიც ბლომად დაიწერა. „ჩაიჭრნენ“ სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამუსიკო სასწავლებლების წარმომადგენლები, რომლებმაც თავი აარიდეს სპარტაკიადაზე გამოსვლას. მართალია, აღნიშნული სასწავლებლების კონტიგენტი სხვებთან შედარებით მცირერიცხოვანია, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოუმზადებლობის გამო „გამოცდაზე“ გაუსვლელობა არც ერთ ფიზკულტურულ კოლექტივს და მის ხელმძღვანელს არ ეპატიება: აკი თავად მკაცრად სჯიან გამოცდაზე გამოუცხადებელ აღსაზრდელებს...

• • •

შემთხვევით ყურმოკრული მონოლოგი სტუდენტისა, რომელმაც მატჩის შემდეგ ქანცგამოლეულ ლექტორს ხელი გამოსდო და ავტომობილამდე მისვლაში მიეხმარა მას:

— აბა, რა გეგონათ, პატივცემულო! თქვენ საგანში სამიანის მიღებაც კი გვიჭირს, „მოხარშული“ ჯინსებივით მოგვანატრეთ სტიპენდია, თან სულ იმას გვსაყვედურობთ, გადაყევით ბურთის თამაშსო! ხომ არ ყოფილა იოლი საქმე? თამაში კი ჰქვია, მაგრამ სდომებია თუ არა სისტემატური ვარჯიში! არ ივარჯიშებ და წააგებ, შენც თავი მოგეჭრება და სასწავლებელსაც შეარცხვენ. ხედავთ, მარტო პოლიტეკონომიის ცოდნა არ კმარა საიმისოდ, კოლექტივი რომ ასახელო. თუ არ მიწყენთ, ერთ რჩევასაც მოგცემთ — კარგს იზამთ, თუ ხვალ დირექტორს არ დაენახვებით, რომ იცოდეთ, რამდენი ვალიდოლი მოაყოლა თქვენს მიერ გაფუჭებულ ბურთებს...

ლექტორის „დამოძღვრით“ გართულმა სტუდენტმა ვერც კი შეამჩნია, როგორ გადახედა ოფლში გახვითქულმა აღმზრდელმა. მე მგონი, მომავალ სესიებზე სამიანის მიღებაც კი ძალიან, ძალიან გაუჭირდება და, ალბათ, ბევრი ღამის გატეხვა მოუწევს წიგნით ხელში. თუმცა, არც ლექტორს ელის უკეთესი დღეები — მომავალ სპარტაკიადაზე დირექტორის შემოსარიგებლად ბევრი უნდა ივარჯიშოს.

თამაზ კოლხიდელი.
(„ლელოს“ საკ. კორ.).

# ორი გუნდი, ორი ჯილდო

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა ჭაბუკ რეგბისტთა ტრადიციული ზამთრის საკავშირო ტურნირი, რომელიც ცნობილი საბჭოთა რეგბისტის ა. ფროლოვის ხსოვნას მიეძღვნა. ადგილობრივ გუნდებთან ერთად შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის ნაკრებმა და საქალაქო სპორტკომიტეტის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის გუნდმა.

თავი ისახელა ქუთაისის ნაკრებმა (გუნდი 1970-1971 წლებში დაბადებული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული), რომელმაც ორივე წრის რვავე შეხვედრაში გაიმარჯვა. ქუთაისელებმა სძლიეს მოსკოვის „სპარტაკის“ პირველ და მეორე კოლექტივებს, თანაქალაქელთა გუნდს, მოსკოვის „კოსინოს“ და დამაჯერებლად დაიკავეს პირველი ადგილი. გამარჯვებული გუნდის ღირსებას იცავდნენ: ვ. სვანაძე, კ. ჯინჭარაძე, ა. გელავა, გ. ნარსია, ა. სულაბერიძე, კ. ჭეიშვილი, გ. მორჩაძე, კ. კალანდაძე, გ. გოგონაძე, ზ. ზიბზიბაძე, ზ. კუპრაშვილი, მ. ჭიხვაძე, რ. სტურუა, ი. ირემაძე, ხ. გეგელია, ა. იობიძე, გ. გულვერდაშვილი და სხვები. რამდენიმე მათგანი უკვე მიიწვიეს ქვეყნის ჩემპიონის, „მშენებლის“ შემადგენლობაში.

წარმატებით იასპარეზა სპორტსკოლის გუნდმაც, რომლის ღირსებას 1972-73 წლებში დაბადებული რეგბისტები იცავდნენ. ასაკში სხვაობის მიუხედავად, ჭაბუკი ქუთაისელი სპორტსმენები მხოლოდ თანაქალაქელებთან და მოსკოვის „სპარტაკის“ პირველ გუნდთან დამარცხდნენ და საპატიო მესამე ადგილი დაიკავეს. გუნდის შემადგენლობაში იყვნენ გ. მელაძე, დ. ჩუბინიძე, გ. ოსაძე, დ. აშოთია, კ. კოროევი, ზ. შვანგირაძე, ნ. მახარაძე, თ. ლომიძე, ლ. ტყეშელაშვილი. გ. მორჩაძე, ზ. კიკაჩეიშვილი, გ. ლომიძე, ს. ალხაზაშვილი, რ. ალიევი, ლ. მაღლაკელიძე, კ. მანაგაძე და მ. ქათამაძე.

ამ შეჯიბრებისთვის გუნდები მოამზადეს რამაზ სვანიძემ, ალეკო ნიქაბაძემ და ზაალ გოგავამ.

• • •

ქუთაისის გარეუბნის სოფელ მაღლაკის სტადიონზე, ბალახის ჰოკეისა და რეგბის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ჭაბუკ რეგბისტთა გუნდმა ორი ამხანაგური მატჩი ჩაატარა ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებთან, რომელიც ფირა-ს ჩემპიონატისათვის ემზადებოდა.

პირველი მატჩი ქუთაისელთა გამარჯვებით დასრულდა (20:15), განმეორებით შეხვედრაში კი სტუმრებმა იმარჯვეს — 30:10.

„ლელოს“ კორ.

# კიდევ ერთხელ სპორტულ ექიმზე

დღესდღეობით იმის მტკიცება, თუ რამდენად დიდია მოძრაობის როლი ადამიანის ჯანმრთელობისათვის და რა სავალალო შედეგები მოსდევს ჰიპოკინეზიას, უკვე ზედმეტია, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფიზიკურმა ვარჯიშმა სასურველი შედეგი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გამოიღოს, თუ ის ადამიანის შესაძლებლობებს შეესატყვისება. ვინ უნდა განსაზღვროს ჯანმრთელი თუ ავადმყოფი ადამიანის მოძრაობის ოპტიმალური რეჟიმი, თუ არა ექიმმა!

ყველა ექიმს შეუძლია თუ არა გვიპასუხოს კვალიფიციურად? სამწუხაროდ, არა. ეს კი პირველ რიგში იმით აიხსნება, რომ იგი არასაკმარისად ემზადებოდა როგორც ინსტიტუტში ისე დიპლომისშემდგომი სწავლების დროს.

როგორ გამოვასწოროთ მდგომარეობა? არის რამდენიმე გზა. უპირველეს ყოვლისა საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სპორტული მედიცინის და სამკურნალო ფიზკულტურის სწავლებას უმაღლეს სასწავლებელში. ამჟამად სამედიცინო ინსტიტუტში ამ საგანს მხოლოდ 36 საათი ეთმობა. მიზანშეწონილი იქნება თუ ოპტიმალური მოძრაობის რეჟიმის საკითხებს, როგორც პროფილაქტიკის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს შეიტანენ ფიზიოლოგიის, თერაპიის, პედიატრიის, ჰიგიენის სწავლების პროგრამაში. ამ მიზნით უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების და სპეციალიზაციის სისტემა. ჯერ კიდევ 1985 წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს განკარგულებით უნდა გამოყოფილიყო საათები ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, რათა ყველა სპეციალობის ექიმი სპორტულ მედიცინაში და სამკურნალო ფიზკულტურაში დახელოვნებულიყო; მაგრამ ბრძანება ფაქტიურად არ შესრულებულა.

სამედიცინო ფიზკულტურული სამსახურის ამოცანა — სპორტსმენის მარტო სამედიცინო უზრუნველყოფაში როდი მდგომარეობს, მისი დანიშნულებაა სამკურნალო-პროფილაქტიკური ქსელის მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა სამედიცინო კონტროლისა და სამკურნალო ფიზკულტურის სფეროში, აგრეთვე საკმაოდ რთული საკონსულტაციო და საექსპერტო ფუნქციების შესრულება, სამედიცინო რეაბილიტაციის ფართო წრის საკითხების გადაწყვეტა. უნდა გავიზიაროთ სვერდლოვსკის, როსტოვის, ლენინგრადის, მოსკოვის სამკურნალო-ფიზკულტურის დისპანსერების გამოცდილება. ექიმის ცოდნა განსაკუთრებით



ფართო უნდა იყოს. მაგრამ ასეთი კადრების საკუთარი ძალებით მომზადება საკმაოდ ძნელია.

სპორტული ექიმების მომზადების მშვენიერი გამოცდილება აქვს ტარტუს უნივერსიტეტს.

ქვეყნის სპორტული და სამედიცინო საზოგადოება კმაყოფილებით შეხვდა ცნობას იმის შესახებ, რომ მოსკოვის ნ. ი. პიროგოვის სახელობის II სამედიცინო ინსტიტუტი ამ პრობლემის გადაწყვეტას იწყებს.

უკვე დროა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში „დაკანონდეს“ სამკურნალო ფიზკულტურის მასწავლებლის სპეციალიზაცია, დღესდღეობით ეს არის სპეციალისტი, რომელიც არა მარტო საავადმყოფოებში, პოლიკლინიკებსა და სანატორიუმებში მკურნალობს ავადმყოფებს, არამედ მასობრივ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ მუშაობასაც ეწევა. ისიც გაუგებარია, რატომ აკრძალა საკავშირო ატესტაციურმა კომისიამ დისერტაციების დაცვა მეცნიერთათვის, რომელთაც ფიზკულტურული განათლება აქვთ.

ეს საკითხები სასწრაფო გადაჭრას მოითხოვს.

ნ. გრანევსკაია.
მოსკოვის საოლქო ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული მედიცინის კათედრის გამგე, პროფესორი.

„მედიცინსკაია გაზეტა“.
20.IV 88 წ.

მოკლედ

ორჯონიკიძეში ჩატარდა პროფკავშირული სპორტული საზოგადოებისა და კულტურის განყოფილების ერთობლივი რაიონული პირადგუნდური პირველობა ჭადრაკსა და შაშში.

ჭადრაკში I ადგილი დაიკავა ზვარის საბჭოთა მეურნეობის ნაკრებმა.

ვაჟთა შორის პირად პირველობაში ყველას აჯობა მურმან კურტანიძემ, ხოლო ქალთა შორის პირველი იყო ოსტატი მედეა კაპანაძე.

შაშში გამარჯვებული გამოვიდა თეთრი წყაროს კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი.

აქ ვაჟთა შორის მურმან კურტანიძემ იმარჯვა, ხოლო ქალებში უძლიერესი იყო ზინა ხოჯაკაძე.

გოჩა ხარატიშვილი.
„ლელოს“ კორ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოყვარულო რეგბის საერთაშორისო ფედერაციის XXIII ჩემპიონატი

# ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონის მთავარი მოედანი. 23 აპრილი. საბჭოთა კავშირი — ესპანეთი 12:7 (3:0).

**საბჭოთა კავშირი:** ძაგნიძე; ვოროპაევი, ნეჩაევი, პარშინი, ზუევი; მირონოვი, ლოსაბერიძე; ხოხლოვი, მალიკოვი (ლილუაშვილი), მოლჩანოვი, სერგეევი, სტრელნიკოვი, სოკოლოვი, ტიხონოვი, კოროლიოვი (კოროლიხინი).

**ესპანეთი:** პუეტრასი (გურუჩატეგა); ალეხანდრო, კ. დიასი, ტორესი, ვილიერი; მორენო (მარტინი), ხ. დიასი; ალვარესი, აგიარი, პარდო, მეღესი, ჩოკარო, მალიო, ფერკანდოსი, როიხი.

მსაჯები: ჟან-კლოდ იშე (საფრანგეთი), ხალვადორე კომასი (ესპანეთი), სტანისლავ კნორი (საბჭოთა კავშირი).

გოლები: საბჭოთა კავშირი — 2 არეკნი (2, ძაგნიძე; 53, მირონოვი), 2 საჯარიმო (44, 47: მირონოვი); ესპანეთი — საჯარიმო (57, ხ. დიასი) და ლელო (78, ჩოკარო).

**ფირას** XXIII ჩემპიონატის ეს მატჩი პირველსავე წუთზე შეაჩერა ფრანგმა არბიტრმა ჟან-კლოდ იშემ და ტრიბუნებზე ტაშმა იქუხა — სსრ კავშირის გუნდმა ნაკრებიდან გააცილეს ქართული რეგბის ყველაზე ტიტულიანი წარმომადგენელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ოლეგ ლიპარტელიანი. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა, ევროპისა და საკავშირო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორმა თავისი მაისური გადასცა ახალგაზრდა თანაგუნდელს ნუგზარ ძაგნიძეს, რომელმაც უფროსი მეგობრის ნდობა... ორი წუთის შემდეგ გაამართლა — ძაგნიძემ უაღრესად ოსტატურად დაარტყა არეკნით და ანგარიში გახსნა. ეს ასე მოხდა: სტუმართა გუნდის უაღრესად მოქნილმა და სხარტმა ნახევარმცველმა ხავიერ დიასმა არეკნით დაარტყა, მირონოვმა ნახტომში ჩაჭრა ბურთი და თავადვე წამოიწყო სწრაფი იერიში. მართალია, ესპანელმა მცველებმა ბოლო მომენტში შეძლეს ბურთის მოგერიება, მაგრამ მოედნის შუახაზის ალამთან ბურთს ძაგნიძე დაეუფლა და მახვილი კუთხიდან, თითქმის 45 მეტრიდან ზუსტად დაარტყა — 3:0.

ასეთი იღბლიანი დასაწყისის შემდეგ ვირწმუნეთ, რომ საბჭოთა რეგბისტები იოლ წარმატებას მიაღწევდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა; პირიქით, ვინ იცის, რა შედეგით დამთავრდებოდა ეს ორთაბრძოლა, ესპანელებს უაღრესად ხელსაყრელი პოზიციებიდან ზუსტად რომ დაერტყათ საჯარიმოები; ამის შესაძლებლობა კი მათ ზედიზედ შეექმნათ მე-4, მე-13 და 21-ე წუთებზე. ესპანელებს სამივე დარტყმა გაუცუდდათ, თანაც ხ. დიასმა კარის პირდაპირ, ახლო მანძილზე დანიშნული საჯარიმოც კი ვერ გამოიყენა.

სტატიკურ მდგომარეობაში მეტოქეები ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ესპანელები გაცილებით სწრაფად ახერხებდნენ მწყობრი იერიშების ორგანიზებას. ჩვენი ქვეყნის ნაკრების გარე ნახევარმცველი მირონოვი ბურთის მიღებისთანავე გამუდმებით უკან იხევდა, დასარტყმელ პოზიციას ეძებდა. ერთი სიტყვით, იგი თამაშის თავის თავზე აღებას ცდილობდა, რითაც გამუდმებით აფერხებდა შეტევებს. ამას სხვა მოთამაშეთა შეცდომებიც ემატებოდა და ჩვენს ნაკრებს ლელოს გატანის რეალური შანსი თითქმის არ მისცემია; მეტიც, პირველი ტაიმის ბოლო წუთებში სტუმრებმა მასპინძლები საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს.

შეიძლება ითქვას, რომ მატჩის ბედი მეორე ტაიმის დასაწყისში გადაწყდა. მირონოვმა როგორც იქნა „მიაგნო" თამაშს და 13 წუთის განმავლობაში ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა — 12:0.

ანგარიშში ჩამორჩენის მიუხედავად, ესპანელებმა გააგრძელეს თავგამოდებით თამაში — ისინი მარჯვედ გზავნიდნენ ბურთს სამმეოთხედელებისაკენ, რომლებიც შავ დღეში აგდებდნენ ჩვენი ნაკრების უკანა ხაზს. მალე ესპანელებმა ამ მატჩში ერთადერთი ლელოც გაიტანეს: მათი სწრაფი იერიშის დროს ძაგნიძემ თავგანწირული ნახტომით შეაჩერა მეტოქე, მაგრამ მესამე ხაზის მოთამაშეებმა დროულად ვერ დააზღვიეს პარტნიორი, წამოსწრებული ფრთის სამმეოთხედელი ოლიერი სწრაფად გაიჭრა წინ და ჩოკარომ ბურთი კართან დაამიწა. ხ. დიასმა ვერც ამჯერად გამოიყენა საუცხოო შანსი და თავის გუნდს წარმატების ყველა შანსი გადაუწურა. ამიტომ იყო, რომ ესპანელები ბოლო წუთებში აღარც კი ცდილან საჯარიმოების დარტყმას და ბურთს ხელით ათამაშებდნენ. საბჭოთა ნაკრებს არ გასჭირვებია ანგარიშის შენარჩუნება.

მართალია, ჩვენი ნაკრების მისამართით ბევრი კრიტიკული შენიშვნის გამოთქმა შეიძლება, ჩანდა, რომ რეგბისტებს აკლიათ სათამაშო პრაქტიკა, შეთამაშება, მაგრამ ჩვენი ნაკრები ე. ტატურიანის ხელმძღვანელობით ნამდვილად ცდილობს შარშანდელზე უკეთ თამაშს. ყოველ შემთხვევაში, ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას. უმჯობესია დაველოდოთ 22 მაისს, როცა საბჭოთა ნაკრებს ყველაზე სერიოზული გამოცდის ჩაბარება მოუწევს საფრანგეთის ძლიერ გუნდთან.



**თამაზ ხარაბაძე.**
(„ლელოს" საკ. კორ.).

ქუთაისი.

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 26 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10 (—2) |
| სსრ კავშირი | 3 | 2 | 0 | 1 | 7 (—2) |
| საფრანგეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 6 ( 0) |
| იტალია | 4 | 1 | 0 | 3 | 6 (—6) |
| ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 3 | 3 (—6) |

პირველი წრის დარჩენილი შეხვედრები: 15.V ესპანეთი — საფრანგეთი; 22.V საბჭოთა კავშირი— საფრანგეთი (ხარკოვში).

• • •

**დაიწყო** პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატიც. შაბათს თბილისის „შევარდენმა" სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რეკონსტრუირებულ სტადიონზე მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს უმასპინძლა და გაიმარჯვა — 9:3 (6:0). თბილისელთაგან ორი საჯარიმო ზუსტად დაარტყა კურატიშვილმა, ერთი — საცერაძემ. „შევარდენმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბარსეგიანი; კურატიშვილი, გარუჩავა, კალანდაძე (გვიანიშვილი), საცერაძე; ხუჭუა, ჯანელიძე; გაგნიძე, ბერიაშვილი, მჭედლიძე, მარტიროსოვი (მაჭავარიანი), კახეთელიძე (ნ. მგელაძე), თეზელაშვილი, კაპანაძე, გეგიძე.

მეორე ტურში, დღეს, „შევარდენი" ნოვოკუზნეცკის სმი-ს უმასპინძლებს.

• • •

**შაბათსვე** დუბლინის „ლენსდაუნ როუდის" სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო მატჩი ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებებს შორის. შეხვედრა ირლანდიის დედაქალაქის დაარსების ათას წლისთავს მიეძღვნა. ხუთი ერის პირველობაში უხეიროდ გამოსვლის შემდეგ მასპინძლებმა საიუბილეო მატჩისთვის სანახევროდ შეცვალეს გუნდი, მაგრამ წაგებას მაინც ვერ გადაურჩნენ — 10:21 (0:12).

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

**გათამაშების ცხრილი**

ძირითადი შემადგენლობა • მდგომარეობა 26 აპრილისთვის

| | თ | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. „დინამო" (კიევი) | 7 | 4 | 2 | 1 | 10-3 | 10 |
| 2. „ზენიტი" (ლენინგრადი) | 7 | 4 | 1 | 2 | 16-13 | 9 |
| 3. „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 7 | 4 | 1 | 2 | 10-7 | 9 |
| 4. „დინამო" (მოსკოვი) | 7 | 4 | 1 | 2 | 9-7 | 9 |
| 5. „სპარტაკი" (მოსკოვი) | 7 | 3 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 6. „ტორპედო" (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 7-6 | 8 |
| 7. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 7 | 3 | 2 | 2 | 8-8 | 8 |
| 8. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 7 | 2 | 4 | 1 | 6-3 | 8 |
| 9. „შახტიორი" (დონეცკი) | 7 | 2 | 3 | 2 | 7-6 | 7 |
| 10. „დინამო" (თბილისი) | 7 | 3 | 0 | 4 | 13-13 | 6 |
| 11. „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 7 | 3 | 0 | 4 | 4-7 | 6 |
| 12 „არარატი" (ერევანი) | 6 | 2 | 1 | 3 | 4-5 | 5 |
| 13. „დინამო" (მინსკი) | 6 | 1 | 3 | 2 | 5-5 | 5 |
| 14. „მეტალისტი" (ხარკოვი) | 7 | 1 | 3 | 3 | 5-10 | 5 |
| 15. „კაირატი" (ალმა-ათა) | 7 | 1 | 1 | 5 | 3-9 | 3 |
| 16. „ნეფთჩი" (ბაქო) | 7 | 1 | 1 | 5 | 2-9 | 3 |

24 აპრილს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტურის ბოლო მატჩი უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო მინსკის „დინამო". თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

## ლიდერობს 35-ე სკოლა

**გაიმართა ოლიმპიური რეზერვებისა და I ლიგის ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების საკავშირო პირველობის IV ტურის შეხვედრები.**

VI ჯგუფის გუნდებს შორის საინტერესოდ მიმდინარეობდა თამაში ოქროყანის სპორტკომპლექსის სტადიონზე, სადაც თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა ბათუმის „დინამოს" უმასპინძლა. პირველ ნახევარში დაწინაურდნენ სტუმრები — 1:0, ახალგაზრდული სკოლის გუნდმა კი მატჩის მიწურულს შეძლო საპასუხო ბურთის გატანა — 1:1. ტურის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: 35-ე სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „გურია" (ლანჩხუთი) 4:1, „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 3:0.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 35-ე სკოლა | 4 | 3 | 0 | 1 | 15-7 | 6 |
| „დინამო" (თბ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 10-5 | 5 |
| ახ. საფ. სკ. (თბ.) | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 5 |
| „დინამო" (ბ.) | 4 | 1 | 3 | 0 | 6-5 | 5 |
| „ტორპედო" | 4 | 1 | 0 | 3 | 3-11 | 2 |
| „გურია" | 4 | 0 | 1 | 3 | 4-12 | 1 |

## კარგი მაგალითი გადამდები უნდა იყოს

**1973-1974 წლებში** დაბადებულ ჭაბუკთა რესპუბლიკური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც ქუთაისში ჩატარდა, მართლაც პრესტიჟული შეჯიბრება გამოდგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სამაგალითოდ ერთი ასეთი ფაქტიც კმარა: თოთხმეტ წონით კატეგორიაში პირველობისთვის 26 გუნდის 250-ზე მეტი ათლეტი იბრძოდა.

თბილისელთა გარდა პრიზიორების სიაში ადგილები ცამეტი სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლებმა გაინაწილეს. ნებისმიერი შეჯიბრების მიზანიც სწორედ ეს გახლავთ — რაც შეიძლება ფართო იყოს მონაწილეთა და საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენთა გეოგრაფია.

მახარაძესა და ქუთაისს ამ ტურნირში 3-3 გამარჯვებული ჰყავდათ, სამტრედიას — 2 (ერთი მათგანი, კახაბერ ქუთათელაძე რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატის ღირსებას იცავდა), მარტყოფსა და ხაშურს — თითო (ხაშურელი ვასილ ჩოჩიშვილი სკოლა-ინტერნატის სახელითაც გამოდიოდა). პრიზიორთა შორის მოხვდნენ აგრეთვე, ბათუმის, ბორჯომის, წულუკიძის, ცხაკაიას, საგარეჯოს, ლანჩხუთის, რუსთავისა და ხობის წარმომადგენლები. ზემოთ რომ პრიზიორთა მზარდი გეოგრაფია ვახსენეთ, სწორედ ეს გვქონდა მხედველობაში.

მაგრამ ზოგი რაიონის ჭიდაობის მესვეურთა საქმიანობაზე უფრო დაწვრილებით გვინდა შევჩერდეთ. ამავე დროს ხაზი გავუსვათ იმას, რომ სპორტში ამინდს მაინც ენთუზიასტი, საქმეს უანგაროდ შეჭიდებული, მონდომებული ხალხი ქმნის.

ქალაქ მახარაძის მეზობლად ამავე სახელწოდების სოფელი მდებარეობს, აქ ცხოვრობს სამი ძმა ზურაბიანი — ვალერი, ზურაბი და იურა. ძმებს, როგორც ჩანს, სიყმაწვილიდან დაჰყვათ კლასიკური ჭიდაობის სიყვარული და ასაკში რომ შევიდნენ, ამ სიყვარულის პრაქტიკული განხორციელება გადაწყვიტეს.

წარმოიდგინეთ რა პირობები უნდა ყოფილიყო სოფელში, ან კიდევ როგორი მხარდაჭერა. ძმებმა უხელფასოდ დაიწყეს მუშაობა. დღესა და ღამეს ათენებდნენ ერთ უბადრუკ სპორტდარბაზში, მაგრამ საქმეს არც ხალისი დააკლეს და არც მონდომება. მწვრთნელის ბუნებრივი ალღო ჰკარნახობდა მათ, რომ აქაური ახალგაზრდებისაგან კარგი მოჭიდავეები უნდა დამდგარიყვნენ. და აი, შედეგიც. მახარაძელმა მწვრთნელებმა მშობლიურ სოფელში სამი ჩემპიონი (დავით სირაძე, თენგიზ მელუა, დავით დოლიძე) და ერთი პრიზიორი (ზურაბ გაგუა) ჩაიყვანეს.

კიდევ ერთი მაგალითი. მეორე წელია, რაც ხობში სკოლა-ინტერნატი დაარსდა. ერთი წელი თითქოს უმნიშვნელო დროა, მაგრამ საქმის სწორმა ორგანიზაციამ და მწვრთნელთა მონდომებამ ამ მოკლე დროშიც გამოიღო ნაყოფი — ვეფხია გოლობიანი შინ პრიზიორი დაბრუნდა. მახარაძისა და ხობის მოჭიდავეთა წარმატებაში არაფერია საიდუმლო ან გაუგებარი. უბრალოდ, მუშაობის სწორი ორგანიზაცია, მონდომება და ენთუზიაზმი უკვალოდ არასდროს ჩაივლის.

გთავაზობთ ჩემპიონებს წონითი კატეგორიების მიხედვით: 38 კგ დავით სირაძე (მახარაძე), 41 კგ კახაბერ ხეცურიანი (ქუთაისი), 44 კგ გელა გორდაშვილი (მარტყოფი), 47 კგ ეროკ ხაჩატუროვი (თბილისი), 50 კგ ვასილ ჩოჩიშვილი (რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატი, ხაშური), 54 კგ შალვა იმხანაშვილი (თბილისი), 58 კგ თენგიზ მელუა (მახარაძე), 62 კგ დავით ხეცურიანი (ქუთაისი), 66 კგ დავით დოლიძე (მახარაძე), 71 კგ გოჩა ციციშვილი (თბილისი), 76 კგ გიგა ჰიჭეიშვილი (სამტრედია), 81 კგ ფირან კაპანაძე (თბილისი), 87 კგ გიორგი სალდაძე (ქუთაისი). მძიმე წონა: კახაბერ ქუთათელაძე (რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატი, სამტრედია).

შეჯიბრების ერთ-ერთ მონაწილეს — გოჩა ციციშვილს მსაჯთა კოლეგიამ სპეციალური პრიზი გადასცა გამარჯვებისკენ სწრაფვისთვის.

ფეხბურთი

## პროცესი გადაიდო

**ჩვენმა** მკითხველმა კარგად იცის, რომ ბრიუსელში უნდა დაწყებულიყო პროცესი, რომელიც განიხილავდა 1985 წელს „ეიზელის" სტადიონზე საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარი სერიოზული ინციდენტის საქმეს. 26 ინგლისელ გულშემატკივარს ბრალად ედება დებოშის ორგანიზაცია და მკვლელობა. ამის შედეგად 39 კაცი გარდაიცვალა და მრავალი მძიმედ დასახიჩრდა. ეს მოხდა ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში ინგლისის „ლივერპულსა" და იტალიის „იუვენტუსს" შორის.

მაგრამ სასამართლო პროცესი გადაიდო და მხოლოდ 17 ოქტომბერს განახლდება. დაცვის ადვოკატები ვერ ასწრებენ გიგანტური საგამოძიებო საქმის შესწავლას, რომელიც 30 ათას ფურცელს შეიცავს.

## საბჭოთა ჭაბუკთა გამარჯვება

23 აპრილს კიშინიოვში შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (VI ჯგუფი) სსრ კავშირისა და თურქეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის. თამაში მოიგო საბჭოთა ნაკრებმა — 7:1, გამარჯვებულთაგან 3 ბურთი გაიტანა სალენკომ, 2 — თედეევმა და თითო — მუჩინკამ და კირიაკოვმა.

### საქართველოს პირველობა

**გასულ** შაბათ-კვირას გაიმართა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის VI ტურის შეხვედრები: „მალაროელი" (ჭიათურა) — „სქური" (წალენჯიხა) 1:0, „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1, „დურუჯი" (ყვარელი) — „მეშახტე" (ტყიბული) 2:1, „ივერია" (ხაშური) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 1:2, „სპარტაკი" (ცხინვალი) — „შადრევანი" (წყალტუბო) 0:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „არმაზი" (მცხეთა) 1:2, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „ამირანი" (ოჩამჩირე) 1:0, „სულორი" (ვანი) — „კოლხეთი" (ხობი) 1:0, „დინამო" (გაგრა) — „დინამო" (ზუგდიდი) 1:0, „მადნეული" (ბოლნისი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 1:0, ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:3.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე თბილისის X ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში

# ვიდრე სეულის ოლიმპიადა დაიწყება

**სეულის** ოლიმპიური თამაშებისთვის საბჭოთა წყალბურთელების მზადების გეგმებმა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარი მნიშვნელოვნად შეცვალა. ჯერ ერთი, ჩემპიონატი, წინა წლებთან შედარებით, შემჭიდროებულ ვადებში ტარდება, მეორეც, ამ ასპარეზობის განრიგი ერთი ტურით შემცირდა.

ოლიმპიური თამაშებისთვის სამზადისმა გავლენა მოახდინა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე თბილისის ტრადიციულ X საერთაშორისო ტურნირზეც, რომელიც დღეს ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში დაიწყება.

ეს ავტორიტეტული ასპარეზობა, როგორც წესი, მაისში იმართებოდა, მაგრამ ახლა ერთი თვით ადრე ეწყობა.

რა თქმა უნდა, ტურნირი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია მათთვის, ვინც სეულში უნდა გამოვიდეს. თბილისის ტურნირი, აქამდე წრიული სისტემით იმართებოდა, მაგრამ ახლა ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებამ ასპარეზობის დებულებაზეც მოახდინა გავლენა. ამჯერად ტურნირის მონაწილენი ორ ქვეჯგუფად დაყვეს. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები ტურნირის მთავარი პრიზის მოსაპოვებლად იბრძოლებენ.

პირველ ჯგუფში იასპარეზებენ უნგრეთის, რუმინეთის, ბულგარეთისა და საქართველოს ნაკრებები, ხოლო მეორეში — ავსტრალიის, საბერძნეთის, სსრ კავშირის ახალგაზრდული და ოლიმპიური ნაკრები გუნდების წარმომადგენლები.

ვფიქრობთ, საქართველოს ნაკრებს, რომელიც ფაქტიურად თბილისის „დინამოთია" წარმოდგენილი, ქვეჯგუფში წარმატების შანსი აქვს და ალბათ საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს.

ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ასპარეზობა ყველა გუნდისთვის ძნელი გამოცდა იქნება, რადგან შეჯიბრების მონაწილეებს, შუაგულ ტურნირში დღეში ორ-ორი შეხვედრის ჩატარება მოუწევთ, რაც წყალბურთელებისაგან დიდ ენერგიას და ფიზიკურ მომზადებას მოითხოვს.

ტურნირის ყველაზე ავტორიტეტული გუნდები უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის პირველი ნაკრებებია. ისინი ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის გამარჯვებულნი და პრიზიორები არიან. თბილისის ტრადიციულ ტურნირში მათი მონაწილეობა შეჯიბრებისადმი ინტერესს ერთიორად ზრდის.

## ტურნირის განრიგი

**26-29 აპრილი 1988 წ.**

**26 აპრილი**

**16 ს. — სსრკ — სსრკ (ახალგაზ.)**
**17 ს. — საქართველო — ბულგარეთი**
**18 ს. — ტურნირის საზეიმო გახსნა**
**18.30 — ავსტრალია — საბერძნეთი**
**19.30 — უნგრეთი — რუმინეთი**

**27 აპრილი**

**10 ს. — სსრკ (ახალგაზრდ.) — ავსტრალია**
**11 ს. — ბულგარეთი — უნგრეთი**
**12 ს. — საბერძნეთი — სსრკ**
**13 ს. — რუმინეთი — საქართველო**
**17 ს. — საბერძნეთი — სსრკ (ახალგაზრდ.)**
**18 ს. — ბულგარეთი — რუმინეთი**
**19 ს. — სსრკ — ავსტრალია**
**20 ს. — საქართველო — უნგრეთი**

**28 აპრილს დასაწყისი 17, ხოლო 29 აპრილს — 11 საათზე, 15 საათზე კი მოეწყობა ტურნირის საზეიმო დახურვა.**



# ბოლო ტურის წინ

**იტალიის** საკალათბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებამდე ერთი ტურიღა დარჩა. ექვს გუნდს — „დივარესეს" (44 ქულა), „ტრეისერს" (42), „არექსონსს" (40), „სნაიდეროს" და „დიეტოროს" (36-36), „სკავოლინის" (34) ფაქტიურად განაღდებული აქვთ „პლეი-ოფში" თამაშის უფლება. დანარჩენ ორ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას ერთბაშად ხუთი გუნდი აცხადებს. ესენი არიან „ენიჰემი", „ალიბერტი", „ჰიტაში", „ბანკო დი რომა", „სან-ბენედეტო". უკანასკნელ ტურში მათ შორის უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი.

ოცდამეცხრე ტური ლიდერებისათვის საკმაოდ უიღბლო აღმოჩნდა. ძალზე საჭირო გამარჯვება მოიპოვა „ენიჰემმა" ჩემპიონატის ლიდერ „დივარესესთან" შეხვედრაში. „ტრეისერმა" მილანში წააგო „არექსონსთან". „ტრეისერი" შინ ძალზედ იშვიათად აგებს. მოულოდნელად შეიძლება მივიჩნიოთ ბოლონიაში „დიეტოროს" დამარცხება „ბანკო დი რომასთან".

ჩემპიონატის ლიდერმა „დივარესემ" მარცხი იწვნია წინა ოცდამერვე ტურშიც — წააგო „ალიბერტისთან" — 90:76. ამ ტურის ცენტრალური მატჩი ბოლონიაში „დიეტოროს" და „სკავოლინის" შორის გაიმართა — 113:110 გაიმარჯვეს მასპინძლებმა. მოულოდნელი იყო „სნაიდეროს" დამარცხება ერთ-ერთ აუტსაიდერ „ირგესთან" — 88:89. „ტრეისერმა" სძლია „ულიბერს" — 132:121.

ოცდამეშვიდე ტურის მთავარი სენსაცია იყო „სკავოლინის" დამარცხება „სან-ბენედეტოსთან" — 83:88. ყურადღების ცენტრში მოექცა ლიდერების „დივარესესა" და „სნაიდეროს" შეხვედრა ვარესეში. მასპინძლებმა ძნელი გამარჯვება მოიპოვეს — 112:107. ვენეციაში „ჰიტაშიმ" 123:111 სძლია „დიეტოროს", რომელსაც წვრთნის იუგოსლავიელი სპეციალისტი კრეშიმირ ჩოსიჩი. უნდა ითქვას, რომ ჩოსიჩის გუნდი დაამარცხეს ვენეციელთა გუნდში მოთამაშე მისმა მეგობრებმა დალიპაგიჩმა (46 ქულა) და რადოვანოვიჩმა (36). სხვათა შორის, ვენეციელთა გუნდსაც იუგოსლავიელი სპეციალისტი პეტარ სკანსი ამზადებს.

**მერაბ კალანდაძე.**

**ზაპოროჟიე.** აქ გაიმართა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატი მრავალჭიდში. პირველი ადგილი და ოქროს დიდი მედალი დაისაკუთრა 17 წლის მინსკელმა მარინა ლობაჩმა. შვიდმა მსაჯმა მის გამოსვლას უმაღლესი შეფასება (10 ქულა) მისცა. მეორე ადგილზე გავიდა 14 წლის კიეველი ტანმოვარჯიშე ალექსანდრა ტიმოშენკო, მესამეზე კი 18 წლის ომსკელი ტატიანა დრუჩინინა.

**ტაშკენტი.** აქ დამთავრდა ჭაბუკ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. 16 წლის ნატალია ბელეცკაიამ (ნოვაია კახოვკა) ფინალში აჯობა ოდესელ ელენა ბრიუხოვეცს (7:6, 6:4) და პირველი ადგილი დაიკავა. ჭაბუკთა შორის უძლიერესი გახდა რიგელი არმანდ შტრომბახი (ფინალში მინსკელი ალექსანდრე სამცი დაამარცხა — 6:2, 6:4). გოგონათა წყვილებს შორის პირველობა ანა მირზამ (მოსკოვი) და ლარისა მიტროფანოვამ მოიპოვეს, ჭაბუკებში — ტიმურ შადიევმა და ანდრეი რიბალკომ (ორივე — კიევი).

### ტელეტაიპი - ექსპრესი

**გორკი.** გაიმართა სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი შორტ-ტრეკში, რომელიც ლენინგრადელმა მოციგურავეებმა მოიგეს. ნევისპირელმა სპორტსმენებმა გაიმარჯვეს, აგრეთვე, 3 და 5 კილომეტრიან ესტაფეტებში. პირად ჩათვლაში ჩვენი ქვეყნის პირველი ჩემპიონები გახდნენ (მრავალჭიდში) ვიქტორია ტროიცკაია და ალექსეი ბიკოვი (ორივე — ლენინგრადი).

**მოსკოვი.** კოსმონავტთა თასს ბადმინტონში ზედიზედ მესამედ ადგილობრივი „ავანგარდის" სპორტსმენებმა მოიგეს. ფინალში მათ ვლადივასტოკის ნაკრები დაამარცხეს — 4:1. მესამე ადგილი წილად ხვდათ დნეპროპეტროვსკის ბადმინტონისტებს.

**ბორისპოლი.** ბალახის ჰოკეიში სსრ კავშირის თასი ოთხწლიანი შესვენების შემეგ ადგილობრივმა „კოლოსმა" მოიპოვა, რომელმაც ფინალში ჯილდოს შარშანდელი მფლობელი შაულიაის „ტაურასი" დაამარცხა — 7:6 (5:2).

# ფიორიო და „ლიანჩა"

**პორტუგალიაში** გაიმართა ავტორალში მსოფლიო ჩემპიონატის მესამე ეტაპი, რომელიც ახალი იტალიური მანქანის „ლიანჩა ინტეგრალეს" გამარჯვებით დამთავრდა. ამ სპორტულმა მანქანამ (მძღოლი მასიმო ბიაზიონი, შტურმანი კარლო კასინა) წარმატებით გაუძლო 2100 კილომეტრიანი დისტანციით გამოცდას და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა. ტრასის გავლას მან 6 საათი და 44,01 წამი მოანდომა.

საერთოდ, ჩემპიონატის ეს ეტაპი „ლიანჩას" გუნდის ტრიუმფით აღინიშნა. მეორე ადგილი „ლიანჩა დელტათი" ალესანდრო ფიორიოსა და ლუიჯი პიროლოს ეკიპაჟმა დაიკავა, რომელმაც გამარჯვებულს 8 წუთითა და 46 წამით ჩამორჩა. მესამე იყო ივ ლუბე — ჟან-ბერნარ ვიეს ეკიპაჟი. რომელიც ასევე „ლიანჩა დელტათი" ასპარეზობდა.

თერთმეტი წუთით დააგვიანეს ფინიშზე მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჰანუ მიკოლამ და შტურმან კრისტიან გეისტდორფერმა, რომლებიც თავიანთი „მაზდა 323"-ით მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

„ლიანჩა ინტეგრალეს" შემქმნელს, ინჟინერ კლაუდიო ლომბარდის დიდი იმედი აქვს თავისი ახალი მოდელის და სულმოუთქმელად ელოდება შემდეგ, „ტურ დე კორსის" ეტაპს.

სამი ტურის შემდეგ მრბოლთა შორის ასეთი მდგომარეობაა: 1. ალესანდრო ფიორიო (იტალია) — 30 ქულა; 2. მარკუ ალენი (ფინეთი) — 26. 3. სტიგ ბლომკვისტი (შვეცია) — 23; 4. ბრუნო საბი (საფრანგეთი) — 20; 5. მასიმო ბიაზიონი (იტალია) — 20.

კონსტრუქტორთა შორის 60 ქულით ლიდერობს „ლიანჩა". შემდგომ ადგილებზე არიან: 2. „ფორდი" — 27 ქულა, 3. „მაზდა" — 22; 4. „აუდი" — 21; 5. „რენო" — 16; 6. „პეჟო" — 14; 7. „ბე-მ-ვე" — 13; 8. „ოპელი" — 10; 9. „ფოლკსვაგენი" — 6.,

**თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიურო გიწვევთ სამოგზაუროდ:**

მდინარე ვოლგაზე თბომავლით „ვ. ი. ლენინი" — 31 მაისიდან 14 ივნისამდე. მარშრუტი: გორკი — იაროსლავლი — ვალაამი — ლენინგრადი — კიჟი — პეტროზავოდსკი — ჩერეპოვეცი — კოსტრომა — პლიოსი — გორკი.

კრუიზი დაიწყება ქალაქ გორკიდან. ტურისტები გაივლიან რიბინსკის წყალსაცავსა და ვოლგა—ბალტიკის არხს, ონეგისა და ლადოგის ტბებს. საგზური ღირს 451 მანეთი.

მოგზაურობის დროს მოეწყობა „მწვანე გაჩერებები" სასეირნოდ, საბანაოდ და სათევზაოდ. საგზურის ღირებულებაში შედის სამჯერადი კვება თბომავლის რესტორნებში, საექსკურსიო მომსახურება და მგზავრობა თვითმფრინავით ორივე მიმართულებით

შავ ზღვაზე კომფორტული თბომავლით „საქართველო" კრუიზი მოეწყობა 19-დან 26 მაისამდე, 26 მაისიდან 2 ივნისამდე. მარშრუტი: ოდესა — იალტა — ნოვოროსიისკი — სოხუმი — ბათუმი — სოჭი — იალტა — ოდესა.

კაიუტების კატეგორიების მიხედვით საგზურები 249-531 მანეთი ღირს. საგზურის ღირებულებაში შედის: კვება თბომავლის რესტორანში, საექსკურსიო მომსახურება, მგზავრობა თვითმფრინავით ოდესამდე და უკან.

საგზურები იყიდება როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით. დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება და საგზურების შეძენა შეგიძლიათ საგზურების სარეალიზაციო განყოფილებაში.

ჩვენი მისამართი: მეტეხის აღმართი № 4, ტელ.: 74-40-67.



**ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი**

**30 აპრილი ● ფეხბურთი ● სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**„დინამო" (თბილისი) — „შახტიორი" (დონეცკი)**

დასაწყისი 19 საათზე

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 27 აპრილიდან, ხოლო ორგანიზაციებში — 27, 28 და 29 აპრილს. სალაროები ღიაა 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

აბონემენტების მფლობელებს ლატარიის ბილეთების შეძენა შეუძლიათ № 7 სალაროში.

სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი გაიმართება 29 აპრილს.
დასაწყისი 18 საათზე
უამინდობის შემთხვევაში თამაში შედგება „ლოკომოტივის" სტადიონზე იმავე დროს.

## საგზურს [illegible]

**[illegible] დამთავრდა 24 წლამდე ასაკის [illegible] მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალური ტურნირი.**

X ტურში ჯანჯღავა დამარცხდა იგორ ხენკინთან. XI ტურში კი ძალ-ღონე მოიკრიბა და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მისთვის მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა ლიდერთან — ალექსეი შიროვთან შეხვედრაში.

გთავაზობთ X და XI ტურების სხვა შეხვედრათა ტექნიკურ შედეგებს:

**X ტური:** ულიბინი-შჩერბაკოვი — 0:1, კამსკი-სმირინი — 0:1, დრეევი-კომაროვი — 1:0, აკოფიანი-სოროკინი — 0,5:0,5.

**XI ტური:** კომაროვი-აკოფიანი — 0,5:0,5, სმირინი-დრეევი — 0:1, შჩერბაკოვი-კამსკი — 0,5:0,5, ხენკინი-ულიბინი — 0,5:0,5.

ამრიგად, 7,5 ქულით I ადგილს დაეუფლა ალექსეი დრეევი (მოსკოვის ოლქი), II ადგილზე გავიდა ალექსეი შიროვი (რიგა) — 6,5, ხოლო III ადგილზე — ვლადიმერ აკოფიანი (ერევანი) — 6. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: IV-V. იგორ ხენკინი (ლენინგრადის ოლქი), მაქსიმ სოროკინი (მოსკოვის ოლქი) — 5-5, VI-VII. ლაშა ჯანჯღავა, ილია სმირინი (მინსკი) — 4,5-4,5, VIII-XI. მიხეილ ულიბინი (სვერდლოვსკი), გატა კამსკი, დიმიტრი კომაროვი (ორივე — ლენინგრადი), რუსლან შჩერბაკოვი (ჩელიაბინსკი) — 4-4.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 26 აპრილი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; რიტმული ტანვარჯიში — **19.45 (2)**.

**საქართველოს ტელევიზია. 26 აპრილი.** ათლეტიზმი — **13.45**; თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში — **16.30.**

**საქართველოს რადიო. 26 აპრილი.** სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში (I ლიგა) — **22.00.**

## „სპორტლოტო"

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, მე-17 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6-45"-დან:** 11 (ფრენბურთი), 12 (ტანვარჯიში), 16 (საცხენოსნო სპორტი), 24 (ხელბურთი), 30 (ძალოსნობა) 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 2 (ბიატლონი), 8 (ტრეკზე ველორბოლა), 20 (აფროსნობა), 30 (ძალოსნობა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096**
**თბილისი, ლენინის ქ. 14.**
**დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55,**
**სამდივნო — 93-97-52,**
**ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,**
**„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 05310